მისი ხარ, მისთვის მოკვდები,  
მისთვის დაიკმე დანასა!

შტატს გარეთ დაჩქინდ „ნეიტრალეს“,  
ჩჩილი ხზოსავით უმანკოთ,  
თქვენ ვინ გიწოდებს ჯიუტსა?  
ახალ „ეზაიში კრედიტში“  
ეძებთ „ნაჩლექნი პრიუტსა“.

შეველს  
რომელ ყანას ყარაულობს,  
ან ვისთვისა ჰყოილაო?  
ამის ნათესს მორვეცა  
ლენკოვა და ჭიოტაო!

ნ. ნ.

ბევრი მიაწყდომოაწყდი,  
სოფელმა არ დაგიტია,  
მეუნარვიას ფეხობა  
არაფერი პატიაია!

სახალწლოა შაირები

(წამოადგენილი პალატასისგან)

გაღგარებულ ყაწყულ-ავცობას



სკუკა\* მკლავს, „სკუკა“ მაწუნებს,  
მიძნელებს „დინანასა!“  
გადავგორდები „პასტელზე“,  
დავიწყებ „მეტანიასა“...

თ. გ. ოზ...

ეო, მეო, კარი გამიღეო,  
ღიდებული პოეტისა მემკვიდრე ვარ მეო,  
სიტყვით დიდი, საქმით მცირე ქართველი ვარ მეო,  
გზა მიჩვენეთ, ბატონებო, საით წავიდეო?..

„თბილისის ფურცელს“

დიპლომატი ნალარაო,

ყველა წერილმან საქმეზედა  
წიწმატა და ცანცარაო.

ა. ჯ...

ძლიერს მორჩილობს ყოველი  
ოვიცა, ვინც ორგულია;  
ღმერთმან ინებოს, სოფელი  
არ დაგრჩეს უმადურია.

„მთაწე“

„ქილ-ბილას“ თავი ანებე,  
ქართველს ქართული ანებე..

„სნოს“

სკვლეთარის ადგილი საკლიტარათ გადექცა,  
კალამი და ქაღალდი ყველა ერთათ გაექცა.

„თფ. წიგნ. გამომც. ამსხანგობას“

სჯობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა!..

„ქუთაისის—ამსხანგობას“

ივე-ნანო, ვარდო, ნანო, ივე, ნანინაო!  
ვეონებ, დროა, სხეც დაბეჭდოთ, ლოდნა მო-  
გეწყინ დაო

შობის ხე (саяна) და მისი ისტორია



სრულდელი შობის ღმრთისწავლი უნდა იყოს  
ათას ხუთას მერამოც-დამეერთე ღღე, რო-  
მელსაც ჩვენ ქართველები, და საზოგადო-  
თელ ქრისტიანობაში, ეღმრთისწავლობთ. მეოთხე  
საუკუნეზე აღრე ქრისტიანობამ არ იცოდა ეს ღღე.

სასწავლი. ნამდელი ღღე ჩენის მხსნელის დაბა-  
ღებისა დაკარგულია ღღემდის ქრისტიანობაში. სამი  
საუკუნის განმავლობაში არც ეკლესიის მწყემსთ-  
მთავართა, არც ხალხს აზრში არ მოსვლია აღენი-  
შნა წერილობითი საბუთით ღღე იესო მაცხოვრის  
დაბადებისა. პირველათ რომის ეპისკოპოსმა ლინბე-  
რიუსმა ვნაწ წელს ქრისტეს შემდგე ჩააწერინა სა-  
ხალხო კალენდარში, რომ ვნა ღღემბერს ქრისტე

მხსნელი სოფლისა დაიბადა ბეთლემს იუდიის ქვეყანაშია. თვითონ ეპისკოპოსმა ლიბერიუსმა იდღესასწაულა შობის დღე პირველათ ზემოხსენებულს წელს დიდი ლიტანიით და საეკლესიო ლეტისმსახურებით. მას აქეთ ეს დღესასწაული გავრცელდა ქრისტიანობის ქვეყნებში..

ნისმცემლობის დროის საერო დღესასწაული და მოენათოა ის ქრისტიანულათ. ქართულს ისტორიულს მეცნიერებას ჯერ იმდენი თვალსაჩინო საბუთი კვლევისა არა აქვს რა ხელში, რომ შეგვეძლოს ამ მხრით წარმოვიჩინოთ ნამდვილი ცნობა წყუდიადით მოსილი ჩვენის უძვე-



მომსი

ასადი წელიწადი (1895 წელი)

ძალიან საგულისხმეოა უნდა იყოს ყოველი ქართველისათვის, რომელიც ასე მზიარულებით ეგებება ამ დღესასწაულს, რანაირათ უნდა დაარსებულყო ჩვენში ეს დღესასწაული, რანაირათ უნდა შეეთვისებინა ქრისტიანობას რომელიმე კერპთაყვა-

ლესის ცხოვრებისა; მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრს საგულისხმეოა რასმე გვეტყვის ისტორია აღმოსავლეთისა, რომლის ნამდვილი შვილი და მისი განათლების თანამოზიარე არის ჩვენი საქართველოს ერაც. ამ მხრით თუ გადავადლებთ თვალს წარსულს



მშობის სუ (თოლო)



ცხოვრებას აღმოსავლეთისას, შეენიშნავთ, რომ ზოროასტრის მცნება, ესე იგი ნათლის სარწმუნოება, თათქის ჩვენი ქვეყნის კიდევებზე გაიფურჩქენა. მზისა და მთეარის თაყვანისცემა ქრისტეს მოსვლამდის ფრად გაერკლებული ყოფილა საქართველოშიაჲ და მამასადამე ვარსკვლავთ-მრისცხელობა ჩვენმაჲ უნდა ყოფილიყო საქმით განთარებული. ძველი კერპთაყვანისმცემლობა დიდ ყურადღებას აქცედა მზისა და მთეარის მოქცევისა და მისდა შესავერათ წარმოებდა ჩვენი წვლთ-აღრიცხვა. ძველათ თანახმით ჰირნახულის მოწვევის აღობა ჩვენ გვეკრანდა სამი ალოა; ხენა-თესვისა, ალო ჰირნახულის მოწვევისა და ზამთრის ალოა. დასაწყისები თითოეული ამ სამი ალოის დიდი დღესასწაულობით იწყებოდა. სხვათა შორის გიორგობისთვეში იწყებოდა დღესასწაული ზამთრის პირისა. ამ დროს ყოველი მეოჯახე, გადაელებდა რა თვალს თავის საქონელს (ხეცატაკს, ანუ იმერულათ ხედავს), ააჩვენდა მათშორის უფრო მტელს და ხანში შესულს, რომელიც უნდა შეეწირა ღვთაებისთვის მსხვერპლათ, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ვაკეცა ზამთარში ან არ ღირდა, ან და პირუტყვი ისეთი ნაჯაფიარი იყო, რომ ვერც გაატანდა ზამთრის სიცივეში. ეს დღესასწაული მითი განიჩნოდა, რომ ჰირნახულის შეწირულობის მაგიერათ ბევრი საკლავის ხოცვა იყო განწესებული. ამ დღესასწაულთ იწყებოდა ჩვენი უძველეს დროის მზის მობრუნება ზამთრისკენ და ეწოდებოდა კინკობის თვე, ანუ ქაჯების თვე, ისეთი დრო, როდესაც აუნი სულნი აღიძროდენ კაცის ნადვარის დასაქოლავათ, წასაღწენათ, ჯეეთუ მხენელ-მთესველნი და მეოჯახენი მათ თავის წილს არ გაუზარებდა ნაშრობ-ნადეაწიდან. გერმანიაში მეთოთხმეტე საუკუნემდის დღესასწაულობდენ ამ ზამთრს პირს შობის მაგიერათ და ეძახდენ წმინდა მარტინეს დღესასწაულს. მხოლოთ მეთოთხმეტე საუკუნეში მოახერხა საღვდენლოებამ ევროპაში ეს კერპთაყვანისმცემლობის დროის დღესასწაული მისეა და მის მაგიერათ უბრალო გაუთათლებელს სოფლის ხალხში დაეწესებინა შობის დღესასწაული 25 დეკემბერს ქრისტიანულს ნიადვზე.

ამ დღესასწაულობას თან მოყვა შობის ხის ამართვა (ბ. 1111) და მისი შემკობა სანთლებით და ნაყოფიერებით, მაგრამ ახლა მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ თვით ეს ჩვეულება — შობის ხის განათება — გადასულა ევროპაში შორეულ აღმოსავლეთის ძველებიდან. ასეთა ჩვეულება უძველეს დროიდან ყოფილა შემოღებული არიელ ხალხებში, რომლის სა-

ნსკრიტული მაღალი განათლება დღეს დიდათ აკვირებებს ევროპას.

არიის ხალხს ჰქონია ჩვეულებათ წმინდა ხის ამორჩევა ყოველ სოფლის განაპირას და თურმე მანე იწყებდენ ლოცვას. ეს ამორჩეული წმინდა ხე უნდა ყოფილიყო მთარეელი ანკელოზი სოფლისათვის, რომ აუი სულები სოფელს აღარ მიკარებოდენ. ამ გეარის ჩვეულების კვალი დღემდის არის დარჩენილი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიაჲ. მაგრამ ყველაზე უფრო ცოცხლათ და გასაოკრათ დღესასწაულობენ წმინდა ხის ამართვის ჩვეულებას სამეგრელოში, სოფ. ბანძას, აპრილის თვეში, ანუ მარტში: ეს იმანზე დამოკიდებული, როდის დადგება აღდგომის დღესასწაულობა.

სოფ. ბანძაში იცან თემობა და ამ თემობაზე ხალხი მოთხრის ერთ დიდ ხეს მარტა ხელებით და ბაწრებით. რკინეული არ უნდა მიეკაროს ძირს. მერე ამ მოთხრილ ხეზე შედგება ერთი მოხუცებული, სოფელში განთქმული პატრიარხებით, კაცო და დაწყებულნი ყველა კულკაცებს, ავაზაკებს, ქურდებს, საქონლის მტაცებლებს და სხვა; ავრთვე დწაყველის მანე სულებს. შემდეგ აიღებენ ამ მოთხრილ ხეს და ლიტანიობით, მღერით, ვალობით, ცეკვით შემოატარებენ საყდარს გარშემო და მერე ამართვენ, ე. ი. ააყუდებენ საყდრის გავაწანში.

ევროპაში შობის ხის ამართვა შემოსულა ინდოეთადან და პარელოთ მიწრელობაში შეეძინეათ კვალი ამ ჩვეულებისა მეთე საუკუნეში. თუმცა ამ ჩვეულებას არავითარი კავშირი ქრისტიანობასთან არ ჰქონია; მაგრამ რაკი სამღვდლოებებს შეუენიშნავს, რომ ხალხი ძალიან მტკიცეთ ინახავდა, მტკიცეთ უუფრებდს თავყვანისცემას, ამის გამო თვით ქრისტული სარწმუნოების მსახურთა უტურთხებიათ ეს ჩვეულება და შეუთხზავთ ქრისტიანული მოთგობანი. სახელობ ძველა ზეპირგადმოცემა აღმოსავლეთისა ამ ნაირია: „ზამთრის სუსნიან თვეებში, როცა ერთი ლამე ყველა დამეებზე უფრო ვაგემდებდა, შულამისას, ტყეში ხეები აყვადებდინათ, გამოიღებენ ნაყოფს, რომელიც ერთი საათის განმავლობაში კიდელ დამწიფდებოა“. ეს ზეპირგადმოცემა არის ინდოეთში გავრცელებული და არიულ ნიადვზე ამოცენილი. შემდეგ ის არაბულიდან მელექსეებს გადმოტრანიათ დასავლეთისკენ. ჯერ შემოულიათ ისპანიაში, ექიდან გავრცელებულა საფრანგეთში და გერმანიაში მეთე საუკუნის დამდევს.

ამ ამბის კვალი იპოვება წმინდა ჰედვიგის ცხოვრებაში, რომელიც დიბიდა საფრანგეთში 1180 წელს და მოღვაწეობდა გერმანიაში. აი, როგორ მოგეითხრობენ ამ ამბავს კეთილ-მორწმუნე

ბერები: „ერთხელ, როცა წმინდაქალწული ჰედევგა ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო და იჯდა ვახშმათ ოთახის ოთახში შობა ღამეს, უცბათ ვინღაც შემოვიდა საღვამში და მოახსენა: ჩვენ ბაღში ბალი აყვებებულაო. წმინდა ჰედევგამ მოჰკრა თუ არა ყური ამ ამბავს, უბძანა მსახურს: წადი, კიდევ ნახე ის ბალიო და დააკვირე მისი ქვედა ტრატები აყვებულა, თუ ზევით კინწიროში ასხია ყვეილიო. — მსახური გამოვიდა გარეთ და ცოტახანს შემდეგ ისევ შემოვიდა წმინდა ჰედევგასთან და მოახსენა: ბაღს ქვედა ტრტი აყვებიაო. — აბა, დიდი უხედურობა მოგლის ქრისტიანობასო — წამოძახა წმინდა ჰედევგამ — წელს მრავალი ხალხი გაწყდებოა“. მართლაც თურქმენი წელს მრავალი გლახაკი, დერღამილი და შეუძლო ხალხი გაწყდა სიცივისაგანო. სახელდობო როდის უნდა შემოღებულყოფიერ ევ-

რობაში შობის ხის განათება? — მეცნიერი-მკვლევარები და სხვათა შორის ზამლერი ამტიკიცებს, რომ შობის ხეების ამართვა, მათი შემოკობა და განათება მეთუთხმეტე საუკუნეზე ადრე არ ყოფილა ევროპაში შემოღებულყოფილი. ის უჩვენებს ერთს წერიალიბითის საბუთს, საიდანაც ჩანს, რომ 1604 წელს სტრასბურის ქალაქში გაუცეთებიათ შობა ღამეს ერთი ამისთანა შეწვენიერი ხე, რომელიც მოუერთათ, აუთნათ და ზედ საშობო საჩუქრები ყმაწვილებისათვის ჩამოუკიდნათ \*).

ბ. წერეთელი

\*) ამ სტატიის მასალათ მქონდა: Kinder und hausmärchen von Bruder Grimm, პანხის დღესასწაულობა სუნდასის, Weihnachtsgeheimnisse von Al. Tille.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ა

(გურული სენა.)



აგვიახლოვდა ახალი წელი. დეკემბრის მიწურულეებში აღტაცებით ელოდებოდა კალანდის მობრძანებას სილოვან მარადეკათენდა ახალწლის წინადლის დილაც. სილოვან მარადეკ გამოვიდა დერეფანში და დინახა თოვლით გადაპენტილი სოფელი. დასაფლეთის ცივი ქარი ჰქრალა. ჰაერი ცაში ათამაშებდა უთვალავ თოვლის ფანტელებს, რომელთაც ბურუსში ვაგებიათ არემარე.

სილოვან მარადეკ, ძლიერ ვახარებული მსწრაულ შემობრუნდა შინ და მკვირცხლათ მიახახა თავის ახალგაზდა მეუღლეს სოფიოს: სოფიო, გვიხედ დერეფანში, რა ნამდელი საკალანდო დღეა! კარგათ დააკვირდი თოვლის ფანტელს, რაეა კქლუშათ მითამაშობს, რხებით მოისწავის ძირს, თითქოს შერ გვეჯიბრება, გახედებს ლეკურის თამაშობაში. „თუ ასე დაიწყეს ცვენა დადაუღებლათ მთელი ღამე ამ ფანტელებმა, ხელ სახტარზე ექლარ მიეკაცა“, უთხრა სოფიომ სილოვანს ნახე ნიით. — სახტარზე მინც კი წავალ, თუგინდა კისრამდი დაყაროს. კალანდის რომ სახტარზე არ წვიდეთ, რაეა იქნება?! ბედობის დღეა. ყველანი კი საქმე ზეაულე უნდა დებებდნიეროს ადამიანმა. მერე ამისთანაი წაბილწულ, გარყენილ-გათახსირებულ ღროში, რა-

ვარშიც ჩვენი ვართ, მეტი რაი გვაქ, მშობლურ ენაზე რომ წირვა-ლოცვა აღარ მოვისმინოთ? რალამ გავახსენოს ჩვენი ძველებური ერის მართლმადიდებლობა. აგია კილო ჩვენი ვამაცოცხლებელი, თვარა არ ხედვდ ხალხის გაუბედურებულ ცხოვრებას? პაწაი გვეკლია გაუჯრულებსა. მარხვა და ხსნილი აღარ იციან, ნათესაობა, დმერთი და ბატონი. იცო, სოფიო რას გეტყვი? — უთხრა სილოვანმა სოფიოს, „ჰო, თქვი!“ სილოვანმა დაიწყო: — „შობას კი დამეთუთქა კაკალი გული ისეთ ახალ ამბავს ელაპარაკებოდა ჩვენი ლედელი ვინცა ორ კაცს და ჩვენს ყიყაქე მამასახლისს? „ჰო, რას, რას? მლოე თქვი, ვაოცებით კითხა სოფიომ. რას და ყველანი ლედელ-მოქმედება უცხო ენაზე უნდა შეფასოლოვო და მეტრახიესკო გაუგებარ ენაზე უნდა შეფადვინოვო, ამბობდა ჩვენი ლედელი. სოფიოს ძალიან ეოცა ასეთი ცუდი ახალი ამბის ვაგონება და თითქმის რასმეს შეეშინებოდა, კაწკალით ათრთოლებულმა სოფიომ უთხრა სილოვანს: „იმ ჩემ ოქროს ბიჭს რაცა უცხო ენაა, აბა, იმაზე შეუღდვიროს მეტრიკა?.. აბა, ვაგედოს უცხო ენაზე მონათლოა?.. იმ წვერებს კი არ ავაუტუტე იმ უბეღურს!.. ხომ არ უნდა იმ უბედურს, ანაუორა ოხრათ და პარტახათ დავატრავებინოა“ — თქვა ვაცხარებით სოფიომ. შემდეგ მიუბრუნდა აკეაში მწოლარე სახე-შეწინიერს თავის პაწაი გიორგის, რომელმაც მისა გაუგებარი ენით დაუწყო ქლურტული დედას და ძუჭუბებზე ხელებს უფარუნებდა: „ხედვე, ბეჩა? — წამოძახა სოფიომ — ბლანამაც ქე არ იგარძო უწყესო ლაპარაკი? არა,

შვილო, უთხრა სოფიომ გიორგის, თუ მე ცოცხალი დავრჩი, მშობლურ ენას ევრაინე დამიწონის. სულ ყველას ქვით დეკოლაე, ჩემო ოქრო, ამ დროს სილოვანმაც ჩაახვდა აკვანში მწოლარე ხელ-ამოშებები მოტიტინე შაე-თვალ-წარბა და ხუჭუჭუბითაინ ბაგეს და უთხრა სოფიოს:—ამისთანა შეწინე-რი ბიჭი ჩვენ კი არა, თავდასწმეილს ეკადრება. ჩემი ცოცხალი თავი რომ გადაეყოლო მაგას, კი გავგზავნი სასწავლოში, თუ ვიცოცხლებ, ღმერთო, შენით. მერე შეუდგა ღორის აფელიკებას, ასო-ასო აქნას, რომელიც შროიანათ იყო გაქიშული გრძელ სუფრაზე. სოფიომ ბაგეს უტება ვაძილო, მერე ამოიყვინა აკენიდან, ჩააცვა, ლოგინზე მიაგორა და მიუშველა სილოვანს, რომელმაც აიღო ერთი ასო, გადადგა ცალკე და თქვა: ეს ჩემი საიმელო გიორგის არის. მეორე აიღო და სოფიოს უთხრა: ეს შენიაო, ავიც მყო. რამოდენიმე ნაჭერი იქვე ადლებულს ქვამ-ში ჩააწყო და დანარჩენი კაცებზე ჩამოკიდა. ამ სახით, ყველაფერი გამაზაღეს წინდლითვე ისე, რომ ახალს წელს მხოლოდ სმა-ჭამა და მზიარულება იყო სა-ჭირო, მეტი კი არაფერი.

გათენდა პირველი იანვარი. ღმერთმა მრავალი ახალი წელი გაეთენოსო, მკითხველო, ათასი ბედ-ნიერებით. აბა, სილოვან მარადეს მაჭახელის გე-სროლას ვინ მოასწრებდა. ჩაიცვა ტანზე შროიანი მიხდენილი ფერის ღამაში გურული ტანისაზოსი, თითქოს მის კარგ მოყვარილ ტანზე ჩამოსაფლო, ისე კობტათ აღვა. სოფიო მზიარულათ უსკენიდა მწვანე ფერის ელექს, რომლის სიშვენიერე ხატავდა სილოვანს.

აბა, შემამხედ, სოფო, რა ბიჭი ვარ? დედი ჩემის ღმერთმა, ასი ჩემისთანა ქართველი ორი ათასს უტხოვოს თავ-ზარს დასცემს, ისე რომ იმ ყაზლარ-რებმა ზნაც ვერ გვიეროს. ამ დროს იმას ევლ გა-ქრყოლა ტანში, თითქოს ეს იყო ბრძოლის ივლებე მიდილა მტრების შესამუსყრელათ. ზეციერი მამა, შენ მაჩენე კვლავ აყვავებული ჩემი ტურფა სამ-შობლო საერთო ბედნიერებით!—წამოძახა სილო-ვანმა—მაშინ ნახავს მტერი, რა და ვინ ეყოფილვართ. ამ დროს სოფომ წყნარათ გაუღიმა და უთხრა: „კარგი, ჰო, შენ მაწონებ თავს, კი ხარ, თუ გლახა, მაინც ჩემი ხარ და ჩემი! შენ კი არა, მე რომ ლა-ჩაქიანი ქალი ვარ, ათს მეც კი გავცემ პასუხს“. ამ სიტყვებში სიამოვნების ნაწერწკალი მოხვდა სილო-ვანის გულს და აღერსიანათ გაუღიმეს ერთმანეთს შეყვარებულებმა. ცოტა ხანს შემდგ შეიქნა ზარ-ბის ხმის გუგუნ-გუგუნე. სილოვან პრანქვა-გრებით გაეშურა წმიდა ტაძრისკენ, სოფიო კი სახლში და-ჩა ეკლესიის სიშორის გამო. სილოვანი ზდილო-

ბიანათ შევიდა წმინდა ტაძარში, ყველას თავი და-უტრა და კუთხეში გაჩერდა. ნაწირებს ყველა ეკლეს-სიაზე მყოფნი საერთო ბედნიერებით იყვენ მოცუ-ლნი. შეიქნა ჩვეულებრივით ერთი თოვების გვახა-გუხი და კოცნა ერთი-მეორესი. აგრე მოხუცი ქა-ლები შაქრის ნაჭრს უფხვნდენდნ პირში ერთმანეთს და ეუბნებოდენ: აგრე ტკილიათ გაატარეთ ეს წე-ლოწადიო. სილოვანმაც ნახა მისი ტალი ახალგა-ზდა ვაჟები, რომელთაც ძმურათ გადახეიეს ხელი ერთმანეთს და მკვირცხლი, მზიარული სიმღერით გაუდდენ ზნას სილოვანის სახლისკენ. თოვლი მუ-ხლამდის იღვა დედამიწაზე. სოფიო ჯერ კიდევ შო-რიდან გამოიგება მზიარულათ საყვარელს სტუმრებს და შეუძღვა შინ, სადაც ხმელი წიფლის შემით იყო შუა ცეცხლი გაჩაღებული. მის პირას დიდი გძელი შროიანი ხის სუფრა იყო შეწინერათ გა-წყობილი; ზედ ჩიტის რძეს ვარდა ყველაფერი სა-ნოვავე ელაგა. მზიარული მასპინძელი და საყვარე-ლი სტუმრები მაშინვე შემოუსდენ სუფრას და შეე-ქცენ ნადიმს. როცა ყველას სადღევრძელიო ცალ-ცალკე დალიეს, მერე სილოვანი წამოხტა სუფრი-დან, მოიტანა ერთი ევრცხლით მოქცედილი დიდი ყა-ნწი, აავსო ღვინით და თქვა: საყვარელო და ძვირ-ფასო სტუმრებო, მე მსურს ევგრ რომ ჰაწია ბიჭი ცელქობს, ის ვადღევრძელიო ამ ყანწითო. სილო-ვანმა სტაცა ბაგეს ხელი, მუხლზე დასვა, ასწია ყა-ნწი მაღლა და თქვა: ვისურვებ, როგორც ხორციე-ლი მამა ამ ჩემი შვილის ღირსეულათ დღევრძე-ლობას და ამასთან ევედრები ზეცერს მამას, ყე-ლა ჩვენი ქართველების ჩამომავალს მონიჭებოდეს ის დღე ბედნიერი, რომელიც ჩვენ ქვეყანას ჰქონდა სახელგანთქმული მეფის თამარის დროს; კვლავ ეე-ვედრები ღმერთს, რომ ჩემი გიორგი იყოს წმიდის გიორგის ძალით მოსილი და კუშპირიტი მამულის შვილი. მე ნათლათ ვხედავ საყვარელო სტუმრებო, რომ ევლარას გავხდები, მარა მსურველი კი ვარ, რომ ზეციური ნიჭით მობერილობა ძალამ შემუს-როს ყოველი უწესობა ჩემში, რომ კვლავ გავე-ღვიძოს ერთობით ხელჩაკიდებულებს, რომ მტრებ-მა ვერ გავტყობსო, და ბოლოს მისი ბარგი არ შევი-ქნე. ვაუმარჯოს კვლავ ჩვენს ერს, მასვე შეტრ-ყველათ ქრისტეს სულლის მტკიცეთ მჭერს, ყველა თანავარძობით მიეგება ამ სადღევრძელიო. ამ დროს სოფიომ ერთა ძმის ნაჩუქარი ორ-ალულიანი ფე-შტა გაისროლა დერეფანში, თითქოს გვეგანებო-დათ, სოფიომ საქმით აასრულა სილოვანის სურ-ვილიო.

### რაჭის ცხოვრება



უმცა, საზოგადოთ ჩენი ეკონომიური მდგომარეობა სხვა-და-სხვა პირობათა გამო დღეს მეტათ დაკემულია, მაგრამ ამ მხრივ რაჭა მაღლა დგას საქართველოს ბევრს სხვა კუთხეებზე. ერთი შეხედვით ეს მოკლენა დაუგვირბეული ხდება, ეინაიღვან რაჭა მოშორებულია ქალაქებს, ე. ი. ბაზრებს, სადაც შესაძლოა ნაწარმოების გაყიდვა; არ აქვს რკინის გზა და ხეირიანი გზატკეცილიც, მეტათ სიძვირია და სივიწროვე მიწისა და სხ. მაგრამ რაჭელების ნიეთერ დამოკლებულების მთავარი მიზეზი არის სამავალითა შრომის მოყვარეობა და მხნეობა; კაცები, როგორც ზევით ვთქვით, მიდიან სხვაგან, ფულის საზოგადოთ, მთელი ოჯახის მომვლელათ და მიწის მუშაეთ ხდება ქალი; ამ ორ სქესის შევრთებული შრომით ხალხი დაწინაურდა ნიეთიერათ.

სოფ. წელა ჰყოფს რაჭას ორ ნაწილათ: ზემორაჭა იყოფა წ საზოგადოებათ, ქვემორაჭა კი 14 საზოგადოებათ; სულ 70,000 მეტი მცხოვრებია. მაშინ როცა ზემორაჭა საბალახო ალაგების გამო უფრო ეტანება ჯოჯის მოშენებას, ქენა-ნაბდის თელვას და შაღების ქსავას, ქვემორაჭას მოყავს პური, სიმინდი, ქერი, ლენი, ყიდის ამაებს ზემორაჭაზე და სამეფიერთ მოაქვთ მათი ნაწარმოები: ოთხფეხი საქონელი, ნაბადი, შალი, მატყლი და სხვა. სოფ. ბუგეულში ამის შესახებ კიდევ ხდება ყოველ წლობით ბაზრობა სეკტემბრის შეიდიან, ეიღრე თუთხმეტამდე, სადაც აჩამკ თუ მთელი რაჭიდან, თეთი ლეხუმეიდან, სამეგრელოდან, ყარაჩიდან და ოსეთიდან მოაწყდება ხალხი. მოაქვთ თავის ნახელავი და გაჩაღდება პატიოსანი ვაჭრობა. აქვე შეიყრინ თავს მრავალი გასათხოვარი ქალები, რომელთაც სურთ სცადონ თავისი ბედი და სილამაზე, მოხიბლონ და იშოვნონ ცხოვრების თანამოგზაურნი. მეორე ამ გვარი ბაზრობა იმართება ლეჩხუმში ს. ცავერში.

საზოგადოთ რაჭაში მეტათ საგრძნობელია მიწის სივიწროვე ჰვიდროთ დასახლების გამო, მაგრამ მიწის სიძვირე უფრო შესაძინეია იქ, სადაც ვაზი ხარობს (რადგან ყველგან არ იზდება ეს მცენარე) და მოყვით საუკეთესო ლენით. ეს არის რიონის პირთ მდებარე სოფლებში, რომელთა უფრო საყურადღებოა ბენაკარა, სადაც თ. ყიფიანება), ამბროლაური, ბუკეული, ტალა, ბარეული და ბაჯი; აი, ამ სოფლებში ქვეყნ მიწის ფასი არა იშვიათათ აღის 500-600 მანეთამდე. მაგრამ მასთან

ნეე ზოგ სოფლებში იმდენივე ალაგი გაცილებით ნათთ ფასობს, მაგ. ს. ცახს, სადაც კარგ სახნავ მიწას იყიდით ქვეყას 100-150 მანეთათ.

რაჭ შეგებნა სწავლა-განათლებას, ამ მხრით, სამწუხაროთ ხალხი ძლიერ დაბლა დგას, რაიც ყოველზე მეტი ნაკლია; მთელ მარჩაში მხოლოთ 12 სკოლა. ამთაში რეა ამ უკანასკნელ წელიწადში დაარსდა. რამდენათ ღრმათ აქვს ფეხები გაღმეული უმეცრებას და ცრუპროგრესუნებას, ამის უტყურ მინუშს წარმოგვიდგენს ს. ცახი და სხეებიც, სადაც ენახე რამდენსამე ალაგას ნაძვის და მუხის ხეებზე მიხედვებული რკინის ჯვრები, რომლებს ძირშიაც დაუყრითათ თითო აქოლემის საპაღენ ცსქისა, ჯოჯის და ვაჭრის ნაღებო, ქანკიანი და უქანკი, მთელი და გატეხილი. მსურველს შეუძლია აქედან ნალი წაღოს ცხენის დასაქედთ, მხოლოთ მთელის ნაკლათ უსაკლოთ ორი გატეხილი ნალი უნდა მოიჭაროს უქანე, თვარა „ხატი გაჯა ერღებო“. ზოგიერთ ჯერისათვის ჩაუძევიათ რაღაც ჰრელი ჩითის პერანგები და მთლათ ერთიანათ დაუჩხვლეტიათ და დაუსეიათ ზედ ნემსებო და მახათები. ზოგიერთი გულომადინე მოლოცავი ამასაკარ დაჯერებულა და ჯერისათვის მიუერთევიათ ძღენათ ქლიავი, ვაშლი, მსხალი, გროში ფულეო და სხ.

ხალხის ზენობა ღიდათ შერყულოა ამ ბოლო დროს. მრავალი მიზეზოა ზეგავლენისა: მათში უმთავრესია მიწის გამაჯენა. თუმცა რაჭაში ჯერ არ იმიერება მიწა, მაგრამ დიდი მანეწობობა მოაქვს ხალხისათვის იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ხაზინის წარმომადგენლნი ართმევენ კერძო კაცების მიწაწყალს და სახაზინოთ შეაქვთ.

მართლა და დიდი უბედურებოა ეს მიწის გამიჯენა ჩენს საქართველოში. ვინ მოთესლის, რამდენი კაცი კვდება და იჩნება ატეხილ დავის გამო, რამდენი იგზავნება ციხეში, რამდენი დრო იყარება და ფული იხარჯება, რამდენი საჩივარი არსდება, ათგილები ეკარებთ გლეხობა-თავად-ხაპურობას ტყელო უბრალოთ, ერთმანეთის დაუდევრობით, ენებით და ირიცხება სახაზინოთ. ეს უკანასკნელი მოქმედება მეტათ მწევე შეიქნას ისეთო შევიწროვებულ გლეხთათვის, ამიტომ დროა დაედვას მსალმუნებელი წამალი ამ ხალხის მძიმე წყლულს. მევეაშეობამ იჩინა თავი რაჭაში უმეტესათ იმის გამო, რომ გლეხობა გაფაციცებით ყიდულობს მიწებს, ხშირათ არ აქვს ფული და, რადგან აქ არავითარი ბანკი არ არსებობს, მ-მარათავს მევეაშეს რომლის თანამდებობას მეტწილათ ასრულებს კითელო-მომადგენლის დასი და სამდევლოება, და მისგან მოაქვთ თუმანი სამ-ოთხ აბაზათ სასარგებლოთ თეში, რასაკერეელოა ზოგიე-

რთი გლეხი ვერ იხდის ელუბს, ეხვევა და ხდება ამ შეუბრალებელი ობობას მს'ერწალო.

საზოგადოთ მიევანშობამ მოიღვა თვის ჩვენ წამებულ საქართველოში და როგორ თავისუფლათ ნავარდობს და ბორბოტოქმელობს იგი და რა რიგ ღუბას, მეტადრე ქართლ-კა'ეთს, ყველამ იცის. ამიტომ დროა გამოეფხიზლდეთ, დროა შევიგნათ ეს ჩენია ერთგნების წინმსვლელობის მოსისხლე მტერი. — ეს შევანშობა, — მოუძენათ მას ღრმა ფესვები და ამოეთხარათ საერთო ძალით. მთავრობამ ამ თვეებში მოახდინა მეტათ სასიკეთო განკარგულება და აპირებს გაუხსნას მიწათ-მშრომელს და მრეწველ ხალხს სამელიორაციო იაფი კრედიტი, რომელიც დიდად იმოქმედებს ერის ეკონომიურ წარმატებაზე, მიევანშობაზე შემკრებაზე; მაგრამ მართა ეს არ ემართა. როგორც დაუეკირდი ჩენის ცხოვრებას, ეცანი, რომ აუცილებლათ საქაროა ჩენშიაღ ერობის (земство) შემოღება. ერობაა მშრომელი. ხალხის თვითმართველობა, სოფლის უმთავრესი მომქმედი ორგანო. მას შობაქს ნიეთიერ სარგებლობას გარდა, დიდი ზნეობრივი სარგებლობაც. ბევრი რამ შეძინა რუსეთს ერობამ, ბევრი რამ სიკეთე ჩინერო ხალხში მისი მეოხნებით: დაარსდა სკოლები, მიეცათ მცხოვრებთ იაფი სესხა, დაარსდა საცდელი მიწდებები, სპეციალური სასწავლებლები, საფურცენო მშრომელები, მუზეუმები, გამოფენანი და სხვა.

რაც შეეხება მეურნეობას, იგი მთელ რაჭაში წარმოგვედგინოს სამს განკალკეებულ ტიპს. ზემო-რაჭაში, როგორც აღნიშნეთ, უფრო მიღვევს საქონლის მოშენებას, რადგან ბევრი მთები და მიწდებები აქეთ. საზოგადოთ აქ ოჯახობა „მესტენსიურია“. ქვემო-რაჭაში კი მეტათ განვითარებულია ქირანხულის მოყვანა, რადგან აქ მიწა ცოტა და ძვირი, ამის გამო მეურნეობაც „ინტენსიურია“ და ცდილობენ, რაც შეიძლება, ბევრი მოიყვანონ ცოტა ალაგადან, ამიტომ ნიადაც აყრიან და ანოყიერებენ სასუქით. ეს ადგილათ უზენსდება მცხოვრებს, რაგან ყარები თითქმის ეზოშივე აქეთ. აქ, როგორც იმერეთში არსებობს განკალკეებულ ოჯახობის ტიპი, (хуторное хозяйство), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურათ. დამტკიცებულია ეეროპიელ მესიერ მეურნეთა გამოკვლევით, რომ ერობა და იგივე ზომის და ღირსების მიწა, იძლევა ეთით-ორათ მეტს მოკვებას მაშინ, რაც იგი მდებარეობს მუშა კაცის ზედ სადგომთან, ეინემ რაცა იგი მოშორებულია 5 წ ეერსის სიშორეზე, როგორც მაგ. ქართლ-კახეთშია და რუსეთში. ამას მიაქცევს ჯეროვანი ყურადღება რუსეთის მე-

ოდნე მეურნეებმაც და ქადაგებენ ახლა სურთარულ მეოჯახეობის ტიპის გარკველებას იმპერიაში.

იშეიათათ ნახეთ ქვემო-რაჭაში, არამც თუ თავად-მზურხს, თეთი გლეხსაც კი, რომ ამ დალოცვილ მხარეს, ამ რიონის ხეობაში მას არ ქანდეს ეენახი. რაჭველის ცხოვრება უღენით შეუძლებელია, ამიტომ გაფაციკებით ცდილობენ იქ ადგილების შექმნას და აშენებენ ჩქარა მამულებს. თანაც სიმართლედ უნდა ეთქვათ, ბევრი არაა ჩენის საქართველოში ამისთანა საენენად ადგილი, როგორც არის რიონის ხეობა. თუმცა ქვემო-რაჭაში სხვა ადგილებშიაც მოპყაეთ ღვინო, მაგრამ იგი მეტათ მდარეა, რადგან სიცივის გამო ყურხენი ეერ მწიფდება კარგათ და არ ჩნდება შუგ საქამო შაქარი. რიონის ხეობა კი დაუარულია თოვლის მთებისაგან და სიცივისაგან. თანაც, რადგან იქ ზეითა ნიადგი შეიქა, მეტათ ხრდდება მისისაგან და ამწიფებს კარგათ ყურძენს. ყურძენის დამწიფება და მკვარი ღვინის აყენებას შეეღის ის გარემოება, რომ იქ ქვეშა-ნიადგი ზმირათ კირნარია, რაცაც ცნობილია მეტათ მზურველე ნიეთიერებათ, რის გამო ს. ხენიქკა არი ვანთქმული ყიფიანის ღვინით, არაუზრით ჩამოუყარება წინანდლის და კარდანხის საუკეთესო საკვება. ყიფიანის ღვინო წინეთ ფასობდა ადგილზე 10-12 მანეთი კასრი \*). ახლა კი, რადგან გლეხებმაც კარგი ღვინო დააყენეს და დაუწყეს მეტოქობა, ყიფიანის ღვინის ფასიც დაეცა 8-4 მანეთამდე კასრი. აქვე შეხედებით იმ მამააპურ მარანს, ქვევრის საწინახელს, ჭახრაქს, ხანს და ორშიმოს, რაც სხვაგანაც არის ჩენის კურთხულე საქართველოში; ღვინის ეეროპიელ ტენზიკას საუბედურათ აქ სრულიათ ეერ შეხედებით, თუმცა ეაზის მაღალი ღირსება და ერცელი ზერები აძლევენ ეეროპიულათ გაკეთების ნებას და დიდ მოკვებასაც უქადან აქაურ მემამულეებს, რომელთა შორის ზოგიერთს აქვს კარგა ბლობათ შეძლება და უწყობს ხელს ამ ს შესასრულებლათ.

წითელი ჯიშის ვაზებშორის რაჭაში უფრო-გატქმულია დუქსნდრუღი, ანაბუღი, და შკაკანსკონი, თეთრ ვაზებში კი, — თეთრა, მქვანე, რაწათოღი, კასურა, ბურაღი და სხვ. ეაზის სენთა შორის აქ მკვინეარებს ნაჭრია, ფიტოპტუსი (fitoptes erinose) და მეტადრე ობი (მილდუ). ეენახის საშიში რისხეა — ვილოქსერა კი, ჯერ არაა აქ ამოჩენილი, თუმცა მან ლენხუმში ს. დერჩში კიდეც იჩინა თავი. მევენახეობის რისხეათ უნდა ჩაითვლოს სეტყვაც, რომელიც არა იშეიათათ მოღის აქ და შერება სა-

\*) კასრი ორი ღონაა, ღონა — ერთი მანეთი.

კმაო ზარალს, თუმცა აქ ენება უფრო ნაკლებია, ვინემ კახეთში.

არას კიდევ ერთი რამე, რომელიც იძლევა არა ნაკლებ ზარალს—ესაა მეწყერია. რადგან ქვეშა ნიადაგი რაჭაში შემდგარია ყამირ კირიდან და თიხიდან (из компактной глины и извести или мергели), ამიტომ დიდი წვიმობის დროს მეტადრე გაზაფხულს და შემოდგომაზე გაიყენება წყლით ის ქვეშა მხარე, ზეითა ნიადაგი დასრიალება მასზე და ჩაცოცდება ძირს; ამას ეძახიან მეწყერს. მომხდარა მავალითებიც, რომ ერთი-ორი ქცევა მიწა, გლეხის მთელი ოჯახობა

დასრიალებულიყოს ძირს და დაჯდომოდეს თავზე სხვის მიწა-წყალს და მამულს. პატრონიც უკან მიყვება თავის გაქცეულს, დასოსებულ ადგილს, სადაც გაჩერდება, იქვე ბინადდება იგიც და ეკუთენის სრულიათ მას; ის კაცი კ, რომლის ადგილ-მამული მოყვა ქვეშ და დაიშარსა, რჩება ხელცარიელი და ილუბება.

ახლგაზდა ქართიველი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

# განცხადებანი

გამომიდა გ. თავართქილაძის მიერ გამომცემელი

## ქართული კედლის კალენდარი

1885 წლისა, შედგენილი ოცხელი აგან, იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში გამოცემა შნოიაია და არც ძვირათ ღირს.

# „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინადა.

ფასი გაზეთისა:

12 თვით . . . . .	10 მ.—	6 თვით . . . . .	6 მ.—
11 " . . . . .	50 "	5 " . . . . .	50 "
10 " . . . . .	8 " 75 "	4 " . . . . .	4 " 75 "
9 " . . . . .	8 " —	3 " . . . . .	3 " 50 "
8 " . . . . .	7 " 25 "	2 " . . . . .	2 " 75 "
7 " . . . . .	6 " 50 "	1 " . . . . .	1 " 50 "

სახლვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტულისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესზე შესცვალა ვინემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მან.: ხოლო თუ ტულისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ფასი წარცხადებისა

მეოთხე გვერდზე, თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ.

პირველზე—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

ქ. თბილისი,

„ივერიის“ რედაქციაში

ნიკოლოზს ქუჩა, 21.

„ქართულთა შარის წერა-კითხვის გამოც. საზ.“ განცხადება, სასახლე ქუჩა, პანკის ქარვასლა

საფოსტო ადრესი,

ТИФЛИСЪ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

1895

# „მოკაგე“

თ ვ ი უ რ ი შ უ რ ნ ა ლ ი

(წელიწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში იმავე პროგრამით ფასი შურნალისა გაზაფხვით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

რუსეთის ტკაცხისის ქალაქებში: 10 მან. 6 მან. 4 მან. სახლვარ გარეთ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთათ შემოტანა ემნელებათ, შეუძლიათ შემოიტანონ: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ყუტრნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქიავის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მგზავრებათვის ადრესი: Тиф-лист. Редакция „МОАМБЕ“.

ენიც წლიურ ფასს წინ-დაწინ შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ—სას.

# ქუთაისის თავად-აზნაურთ სააღმკვიდრო-გაგებულო განაჩის გვერდობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § მდლით, ქვემო აღნიშნულ რიცხვებში ბანკის კამეკობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გაუიღულ იქნებიან ისევეთულს ბანკში დაკვირვებულნი უმრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა ზირთა, შესახვედრ კარდასახადთა შემოუტანლობისა კამო.

გაუიღვა მოისმათა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა შემატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ის შეახვედრ ბანკის კარდასახადს და თან განცხადებათა სარჯებს.

ვაჭრობა დაიწება ქვემო მოკვანდლის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუხვედრების კარდასახადისა, მამულის გასასვიდლოთ დანიშნულ სარჯებისა და, საზოგადოდ; უკუღა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამტეგოროდ დაუნარჯავს; ბანკის ხანტრჭლივი ვალის თავნის მოსმათა შეიძლება ჰმავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელიც მიიღებიან სახელდობრივის ფანისამებრ მანეთი მანეთად და აკრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ შეიძველს; სოლო ვადაზე კადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასვიდლოთ მამულთ ადწირობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესჯება, მაშინ, ბანკის წესდების 24 § სეფუეველით, ინიშნება, მეორე და უახანსეველი ვაჭრობა, 15 თებერვალს 1895 წელს.

ვაჭრობა მოხდება მ-ს თებერვალს 1895 წ.

187<sup>12</sup> და წლიან 5661 სხსენი.

## ქ ქუთაისის

დასახვედრის მიხილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 312 კვადრ. საჯ. თავნი ეალი 788 მ. 8 კ. შეს. ვარდ. 453 მ. 90 კ., სულ 1241 მ. 98 კ

მემკვიდრეთა ჩარკოვას ელი-საბედ სიმონის ასულის: გვაუსთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკორის ღუქნები სარდაფით და მიწა 103<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვადრ. საჯ. თავნი ეალი 157 მ. 52 კ. შეს. ვად. 291 მ. 18 კ., სულ 448 მ. 70 კ

დასამძიკთ: ნესტორ და საშინ მიხილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის ღუქანი და მიწა 20 კვადრ. საჯ. თავ. ეალი 279 მ. 16 კ. შეს. ვარდ. 272 მ. 32 კ. სულ 551 მ. 48 კ.

მემკვიდრეთა ჩარკოვას ნატალი სპირიდონის ასულის: ნიკარაძის გადასახვედში ორი ხის სახლები მიწით 494 კვად. საჯ. თავ. ეალი 195 მან. 46 კ., შეს. ვარ. 116 მ. 85 კ., სულ 312 მ. 31 კაპ.

აღიბეკოთა, იოსებ, ალექსანდრე ივანე ხეთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვედში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საჯ. თავ. ეალი 268 მ. 52 კ., შეს. ვარ. 90 მ. 48 კ., სულ 299 მ.

ჩაქავასი სიკო ხიტუს ძის, და ქოიავასი ზოსიმ მიქელის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკორის ღუქნები და მიწა 203 კვადრ. საჯ. თავ. ეალი 347 მ. 94 კ., შეს. ვად. 148 მ. 79 კ. სულ 496 მ. 73 კ.

კოპახიძის ალექსი სიმონის ძის: ბაღახეანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 45<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვადრ. საჯ. თავ. ეალი 87 მ. 3 კ.

შეს. ვად. 53 მ. 85 კ. სულ 140 მ. 88 კ.

წოგოვასის ეასილ ოკროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჯ. თავ. ეალი 104 მ. 12 კ., შეს. ვად. 36 მ. 60 კ. სულ 140 მ. 72 კ.

ღორთქეთანის ეიკლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჯ. თავ. ეალი 382 მ. 31 კ., შეს. ვად. 191 მ. 37 კ., სულ 573 მ. 68 კ.

მეგუკას ბესარიონ ეასილის ძის: ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 309 კვად. საჯ. თავ. ეალი 7462 მ. 78 კ., შეს. ვად. 807 მ. 71 კ. სულ 8270 მ. 49 კ.

წუსისის ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 461<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვ. საჯ. თავ. ეალი 127 მ. 74 კ., შეს. ვად. 61 მ. 35 კ. სულ 189 მ. 9 კ.